

შპს ვივი 436031269

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

	2020	2019
შემოსავლები	46746	0
შემოსავლები რეალიზაციიდან	46746	0
საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	-507416	-148428
ნედლეული და მასალების ღირებულება		-1156
სოფლის მეურნეობის პროდუქტის ღირებულება	-44056	
საწვავი და საპოხი მასალის ხარჯი სამეურნეო ტექნიკაზე	-7838	
ბიოლოგიური აქტივების მოვლა-შენახვის ხარჯი	-339581	-122308
სახელფასო ხარჯები		
ცვეთა	-15845	
ბიოლოგიური აქტივების ცვეთის ხარჯი	-135646	
სამეურნეო ტექნიკის რემონტზე დანახარჯები	-17620	-13472
სამეურნეო ინვენტარის ქირავნობის ხარჯი		-10769
სხვა საწარმოო ხარჯი		-723
სხვა საოპერაციო შემოსავლები	53170	
საერთო მოგება	-460670	-148428
		-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-833510	1010489
სახელფასო ხარჯი	-554949	-524566
ცვეთა და ამორტიზაცია	-46840	-20955
სარეკლამო ხარჯი		-1039
ქირავნობის ხარჯი	-12632	-4516
კომუნალური ხარჯი	-6918	-6276
საკომუნიკაციო ხარჯი	-1801	-1424
ძირითადი საშუალებების რემონტი	-31967	-45090
საწვავის ხარჯი	-38433	-55438
მივლინების ხარჯი		-12935
დაზღვევა	-8018	-69222
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	-4000	-587
საბანკო მომსახურების ხარჯი	-2641	-13091
სხვა საგადასახადო ხარჯი	-22074	-13857
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-103237	-241493
სხვა შემოსულობები	506905	240296
თანადაფინანსება სოფ. მეურნ.პროექტის ფარგლებში	479700	233176
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	272054	7120
ფინანსური ხარჯები	-661310	-292501
საპროცენტო ხარჯი	-636551	-280939
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	-24759	-11562

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-49762	-4931
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	1498347	1216053
მოგების გადასახადი		
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	1498347	1216053
სულ წლის შემოსავალი	1498347	1216053

შპს ვივი 436031269

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2020	2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	38688	31286	97851
ნაღდი ფული სალაროში	710	1437	0
ფული საბანკო ანგარიშზე	37978	29849	97851
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში			
მოკლევადიანი მოთხოვნები	10685426	10904160	11288710
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17058	21296	0
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	10662056	10865715	11131979
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6311	17149	156731
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	75839	184987	4968
საქონელი	97	97	
ნედლეული და მასალები	58052	183347	4968
დაუმთავრებელი წარმოება	6276	0	
მზა პროდუქცია	7263	0	
სხვა საწარმოო მარაგი	4150	1543	
წინასწარი გადახდები	20835	812	102
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	16481	18	102
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	4354	794	
სხვა მიმდინარე აქტივები		132980	40316
ზედმეტობა საგადასახადო გადასახადებში		132980	40316
სულ მიმდინარე აქტივები	10820788	11254225	11431947
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3865108	3676429	2720309
მიწის ნაკვეთები	2678433	2644337	2627270
დაუმთავრებელი მშენებლობები და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	9415	1695	
შენობა ნაგებობების კაპიტალური რემონტი	252113	252113	20477.75

შენობები	102402	90460	90460
ნაგებობები	105600	100250	
მანქანა-დანადგარები (სამეურნეო ტექნიკა და საშუალებები)	151293	128436	
მძიმე ტექნიკა	297492	297492	
ოფისის აღჭურვილობა	6172	5199	120
კომპიუტერები	4367	4367	380
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10476	13251	2346
ტრანსპორტი	383515	195029	
სხვა ქონების კეთილმოწყობა	5278	4728	
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-141448	-60928	-20744
შენობის ცვეთა	-27693	-24017	-20398
ნაგებობების ცვეთა	-14120	-4466	
მანქანა-დანადგარების (სამეურნეო ტექნიკა და საშუალებები) ცვეთა	-26207	-8913	
მძიმე ტექნიკის ცვეთა	-23726	-8961	
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-1118	-322	-10
კომპიუტერების ცვეთა	-1480	-606	-44
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	-3100	-1908	-292
ტრანსპორტის ცვეთა	-43125	-11735	
სხვა ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	-879		
არამატერიალური აქტივები	978	1171	
საბუღალტრო პროგრამა	1347	1347	
საბუღალტრო პროგრამის ამორტიზაცია	-369	-176	
ბიოლოგიური აქტივები	4285307	3689751	275493
ბიოლოგიური აქტივები (ვენახი)	4069368		
ბიოლოგიური აქტივების (ვენახი)ცვეთა	-135646	0	
ბიოლოგიური აქტივები ფორმირების პროცესში	351585	3689751	275493
სულ გრძელვადიანი აქტივები	8151393	7367351	2995802
სულ აქტივები	18972181	18621576	14427749
კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	355696	373572	10700
სავაჭრო ვალდებულებები	291850	373395	10635
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	45075	177	65
საგადასახადო ვალდებულებები	18771	0	0
ქონების გადასახადი	7013	0	0
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	11758	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	4692623	4296198	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4692623	4296198	0
სულ ვალდებულებები	5048319	4669770	10700
საკუთარი კაპიტალი	13923862	13951806	14417049
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	14240811	14240989	14240989
კაპიტალის გაზრდა	2221392	750989	

გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	-2538341	-1039994	176060
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-178	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	18972181	18621576	14427749

შპს ვივი 436031269

დირექტორი ლევან ზილფიმიანი

შპს ვივი 436031269

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს ვივი, (შემდგომში „კომპანია“) რომელიც დაფუძნებული იყო 2015 წელს საქართველოში, 2017 წლის დეკემბერში შეისყიდა შპს ვაინ კახეთმა, რომელიც აგრეთვე დაფუძნებულია საქართველოში და წარმოადგენს მის მესაკუთრეს და 100 % წილის მმართველს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მევენახეობა, ყურძნის მოყვანა და რეალიზაცია. შპს ვივი 2018 წლის მარტიდან იწყებს კახეთის რეგიონებში მდებარე საკუთარი მიწის ნაკვეთებზე ვენახის გაშენებას ძირითადად საფერავის, რქაწითელის და ცოტაოდენი კახური მწვანის ვაზის ჯიშებისგან. პირველ მოსავალს იღებს 2020 წლის სექტემბერში (55425 კგ. საფერავი და რქაწითელი) რომლის ნაწილის (43150 კგ) რეალიზაცია მოახდინა, დარჩენილი ნაწილით კი საკუთარ მარანში აწარმოა ღვინო და არაყიც. პარარელურად, 2020 წლის მარტიდან კომპანია იწყებს ახალი ვენახების გაშენებას.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, ეროვნულ ვალუტაში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ოპერაციები უცხოური ვალუტაში თავდაპირველად აღიარებულია ლარში, ოპერაციის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოური ვალუტის ფულადი საშუალებები კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის დახურვის დღის კურსით, სხვაობა აღიარდება როგორც არასაოპერაციო მოგება ან ზარალი.

შემოსავლები მომსახურებიდან აღიარდება დარიცხის მეთოდით. მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით, სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით. საქონლის გაყიდვიდან შემოსავლები აღიარდება საქონლის მიწოდებისთანავე.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დანახარჯები ხარჯად აღიარდება დარიცხვის მეთოდით. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული

ოფიციალური სავალუტო კურისის მიხედვით.საკურსო სხვაობა აისახება არასაოპერაციო მოგება/ზარალში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან წარმოებს გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

იჯარა,რომელიც წარმოადგენს საოპერაციო იჯარას, საიჯარო გადასახდელები აღიარდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი, აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში

საწედებო კაპიტალი აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც მესაკუთრეთა კაპიტალი საკუთარ კაპიტალში. დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი გამოცხადების საანგარიშგებო პერიოდში.

ნასესხებ სახსრებზე დარიცხული პროცენტი აღიარდება ფინანსურ დანახარჯებში საპროცენტი ხარჯად.

მიღებული გრანტები და თანადაფინანსებები აღიარდება სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია და შესრულებულია მათი მიღების პირობები.

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალით. მიწა აღიარდება თვითღირებულებით და ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით.

ბუნებრივი აქტივები (ვენახი) ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით.

ბუნებრივ აქტივებზე გაწეული დანახარჯები კაპიტალიზდება ნაყოფის მიღების მომენტამდე, რის შემდეგაც გაწეული დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში მიმდინარე ხარჯის სახით.

ცვეთის დარიცხვა აქტივებზე, მათი სავარაუდო მომსახურების ვადის განმავლობაში თვითღირებულების განაწილების მიზნით, ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობები-20-25 წელი.

ნაგებობები-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-7 წელი

ავტოსატრანსპორტო საშუალებები 10 წელი

მძიმე ტექნიკა 17-25 წელი

სამეურნეო ტექნიკა 5-7 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 5 წელი

სხვა არამატ აქტივები 7 წელი

ბიოლოგიური აქტივები 15 წელი.

თუ გაჩნდა მინიშნება იმისა, რომ რაიმე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება არსებითად შეიცვალა, მაშინ აღნიშნული აქტივის ცვეთა გადაიხედება. აქტივის კომპანიიდან გასვლისას, სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ წმინდა შემოსულობასა და გაყიდული ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით და მოიცავს ყველა დანახარჯს რომელიც გაწეულია მარაგების შესყიდვაზე, დამუშავებაზე და სხვა ხარჯებს რაც საჭიროა მარაგების მათ მიმდინარე ადგილმდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად.

ბუნებრივი აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფასდება ნაყოფის მიღების მომენტისთვის არსებული გაყიდვებისთვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან მიღებული პროდუქტი აღიარება და შეფასება ხდება, როგორც სასასქონლო-მატერიალური მარაგების ბასს 2 შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის დირექტორის მიერ 2021 წლის 1 სექტემბერს.